01/10/2025

MES 2 25 0001256998

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)

წარმომადგენლები:

ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლა:
ლევან ყაულაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანის საჯარო სკოლა:
ანა ლათიბაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ- ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლა:
მზია დანელია - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ბათუმის N16 საჯარო სკოლა:
ცირა ქობულაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლა:
მანანა ცინცაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ- ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი სმადის საჯარო სკოლა:
მარი ტყემალაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოს საჯარო სკოლა:
მაკა ვაწაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლა:
ა) მარიამი ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო ბეგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მზევინარი დარბაისელი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) აკაკი სადუნიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეთერ ქუთათელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) გიორგი ბერძულიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანის საჯარო სკოლა:
ა)ზაზა ჭანტურია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა კაჭკაჭიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხატია კაჭარავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დ) თეონა მაცაბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო თამარაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლია ციცქიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ ოძელაშვილი(სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლა:
ა) პაატა ჩორგოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნანა ღაჭავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა ბოლქვაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ქეთევან ბერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ელენე ხუციშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ყანჩაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლია სვიმონიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ბათუმის N16 საჯარო სკოლა:
ა) ია სოხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარი ოღლიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გ) ციალა ჩიტია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) სოფიო გელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თეონა შერაზადიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლია სვიმონიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლა:
ა) მარინე ჯანაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნანა ედიშერაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ქეთევან სადრაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მაია შამუგია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარგარიტა ჯიქია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ვერა გუდაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირინე შარაბიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი სმადის საჯარო სკოლა:

ა) დიმიტრი ქარსელაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ანა კვიჟინაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ზაუტაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მზია მახაჭაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნელი ტეტუნაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ანა ობოლაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ბელა დურგლიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნათია ორმოცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოს საჯარო სკოლა:
ა) ირმა ტატიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ია ძირკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ციცინო მექოშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამარ ჩალახეშაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლამზირა აფაქიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნონა გამხიტაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირმა ხუნდაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 17 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2.სსიპ- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ- ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ - ქალაქ ბათუმის N16 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5.სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6.სსიპ- ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი სმადის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7.სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიამ ხუციშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 19 და 20 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 500. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 500 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, მარიამ ხუციშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, თუმცა, მისი თქმით, შიდა სპორტული დარბაზის ფანჯრებს არ ჰქონდა დამცავი ბადე, ასევე, სკოლის ტერიტორიაზე მდებარეობდა აუზი, რომელიც არ ფუნქციონირებდა და ექსპერტების თქმით აღნიშნული შესაძლოა საფრთხისშემცველი ყოფილიყო მოსწავლეთა უსაფრთხოებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ირმა ამირანაშვილი დაინტერესდა, თუ რა მდგომარეობა იყო სკოლის ტერიტორიაზე მდებარე ღია აუზის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან და ფანჯრებზე დამცავი ბადის მოწყობასთან მიმართებით.
სკოლის დირექტორმა, ლევან ყაულაშვილმა, აღნიშნა, რომ ჩაატარეს ბაზრის კვლევა და სპორტულ დარბაზში მდებარე ფანჯრებზე გასაკრავად შეიძინეს და გააკრეს სპეციალური ფირი, რომელიც უზრუნველყოფდა უსაფრთხოებას და ფანჯრების მთლიანობის დაცვას, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარებით ამოავსეს აუზის ცარიელი სივრცე და აპირებდნენ აღნიშნული სივრცის გამწვანებას.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა, როგორ ხდებოდა სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა.
ექსპერტმა, მარიამ ხუციშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის ეზოს ტერიტორიაზე მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მორიგეობდა მანდატურის სამსახური. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები და დაიწყო აუზის ამოვსება სპეციალური მასალით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:20
დასრულების დრო - 14:26

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლას (ს/კ: 240891246) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული

რაოდენობა განესაზღვროს 500 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი დირბი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი დირბი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი დირბი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის დეკემბერში აუზის სივრცის უსაფრთხოდ მოწყობის, 2026 წლის სექტემბერში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისა და სპორტული დარბაზის ფანჯრებზე ბადის მოწყობის, ხოლო 2027 წლის სექტემბერში შენობა-ნაგებობის ადაპტირებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 19 და 20 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო

პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 120. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო 2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. ასევე, რა მდგომარეობა იყო ექიმის აყვანასთან და სპორტ დარბაზთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორმა, ანა ლათიბაშვილმა, აღნიშნა, რომ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსგან მიღებული ჰქონდათ შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დადებითი დასკვნა. სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სკოლას არ ჰქონდა წყლის ჰიდრატი, თუმცა, აღნიშნული პრობლემის მოგვარებისთვის მიმართული ჰქონდა პასუხისმგებელი ორგანოსთვის. ექიმთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსია, თუმცა, ვინაიდან აღნიშნული ვაკანსიით არავინ იყო დაინტერესებული, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეათანხმეს ექთნის შტატი და გამოცხადებული იყო ვაკანსია. სპორტ დარბაზთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა სივრცე, სადაც უამინდობის დროს მოსწავლეებს უტარდებოდათ სპორტის გაკვეთილები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:43
დასრულების დრო - 14:49

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანის საჯარო სკოლას (ს/კ: 228525307) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ოზაანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ოზაანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ოზაანი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის ოქტომბერში, 3.1 და 3.4 ინდიკატორებთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის, ხოლო 2026 წლის სექტემბერში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და სპორტული დარბაზის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა

დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, პაატა ჩორგოლაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 19 და 20 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 410. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 410 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, პაატა ჩორგოლაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ ექსპერტების მხრიდან შეფასების სისტემასთან დაკავშირებით გაცემული რჩევები იყო ძალიან მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი. მან მიმართა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა, რა ნაბიჯები გადადგა სკოლის ადმინისტრაციამ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ იმისთვის, რომ მე-2 სტანდარტთან დაკავშირებული რჩევები გაეთვალისწინებინა.
სკოლის დირექტორმა, მზია დანელიამ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებზე დაწყებული ჰქონდათ აქტიური მუშაობა და ახალი სასწავლო წლისთვის უკვე გათვალისწინებული ჰქონდათ მე-2 სტანდარტთან დაკავშირებული ყველა რჩევა.
აქვე, საბჭოს წევრი, დავით მალაზონია, დაინტერესდა, ვინაიდან სკოლაში სწავლობდნენ არაქართულენოვანი მოსწავლეები რას აკეთებდა სკოლა მათი ინტეგრაციისთვის.
სკოლის დირექტორის თქმით, მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული ყველა სასკოლო ღონისძიებაში, მათთან ერთად, სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად იყვნენ ჩართული მშობლებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 410- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:07
დასრულების დრო - 15:11

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლას (ს/კ: 225389521) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 410 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბოლნისი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N15
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბოლნისი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N15
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ბოლნისი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N15

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში შესვლისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, 2027 წლის სექტემბერში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ქალაქ ბათუმის N16 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია სოხაძემ. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - ქალაქ ბათუმის N16 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 25 და 26 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 2320. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 2320 მოსწავლისთვის. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 2320-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში.

ექსპერტმა, ია სოხაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ია სოხაძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა მიმართულების კლუბი, მათ შორის სამოქალაქო განათლების კლუბმა „იდეატორი“ მიიღო აჭარის რეგიონის ჯილდო „წლის დემოკრატიული სკოლა“, ხოლო კლუბის მეურვე მასწავლებელმა მიიღო აჭარის რეგიონის წლის საუკეთესო სამოქალაქო მასწავლებლის ჯილდო. სკოლას ჰქონდა ტელევიზია და რედაქცია.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა იყო ახლადაშენებული, ჰქონდა საგანმანათლებლო სერვისის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო, როდესაც სკოლას ჰქონდა ასეთი კეთილმოწყობილი და დატვირთული სივრცეები.

აქვე, საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, აღნიშნა, რომ მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები იყო ყოველმხრივ გამართული.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო ექიმის, ხელოვნებისა და სპორტის მასწავლებლების ვაკანსიებთან დაკავშირებით.

სკოლის დირექტორის, ცირა ქობულაძის განმარტებით, ყველა რეკომენდაცია სრულად იყო შესრულებული, დაასაქმეს ხელოვნებისა და სპორტის მასწავლებლები და ასევე, დაასაქმეს ექიმიც.

საბჭოს წევრი, დავით მალაზონია, დაინტერესდა, მოსწავლეთა რაოდენობის 2320-ით განსაზღვრის ფარგლებში ხელი ხომ არ შეეშლებოდა საკლუბო საქმიანობას, ვინაიდან მოხდებოდა ყველა ოთახის ათვისება.

სკოლის დირექტორის თქმით, საკლასო ოთახების გარდა, სკოლაში იყო მცირე ზომის ოთახებიც და გარდა ამისა, საკმაოდ კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, შესაბამისად საკლუბო საქმიანობას ხელი არ შეეშლებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის N16 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2320- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:23
დასრულების დრო - 15:29

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N16 საჯარო სკოლას (ს/კ: 245429503) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2320 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბათუმი, წმინდა სევერიანე აჭარელის ქუჩა N
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბათუმი, წმინდა სევერიანე აჭარელის ქუჩა N3
3		საშუალო	ქართული	ქალაქი ბათუმი, წმინდა სევერიანე აჭარელის ქუჩა N3

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			

5. სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 02 და 03 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას სკოლა ახორციელებდა ორ მისამართზე, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის მე-6 ქუჩა N1-ში და ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მახუნცეთში, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის მე-6 ქუჩა N1-ში.
ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“ და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა“ ნაწილობრივი შესაბამისობით“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტი და სწორედ პროექტების განხორციელებისას ეფექტურად თანამშრომლობდნენ სხვადასხვა საგნის პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ წარსულში სკოლას ჰქონდა ინტერნატის ფუნქცია. სკოლის ეზოში მდებარეობდა რამდენიმე შენობა, რომლებიც ვიზიტის პერიოდში გამოიყენებოდა საცხოვრებლად. მისი თქმით აღნიშნული სივრცეების შემოღობვასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, სკოლის ტერიტორიის შემოღობვასთან დაკავშირებით რა ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული სკოლას.
ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ჰქონდა მიწერილობა პასუხისმგებელ ორგანოებთან, ასევე, ინფორმირებული იყო საგანმანათლებლო რესურსცენტრიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:51
დასრულების დრო - 15:57

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 246756247) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის	დაწყებითი	ქართული	

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა მახუნცეთი, მე-6 ქუჩა N1; ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა მახუნცეთი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა მახუნცეთი, მე-6 ქუჩა N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა მახუნცეთი, მე-6 ქუჩა N1

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის დეკემბერში ორივე შენობაზე შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნების, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმების, 2026 წლის სექტემბერში სკოლის ძირითადი კორპუსის ეზოს ღობით შემოღობვის, სპორტის, მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლების დასაქმების, ხოლო, 2027 წლის სექტემბერში ორივე შენობისთვის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების და ინკლუზიური გარემოს მოწყობის (ორივე შენობის) დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. სსიპ- ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი სმადის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, დიმიტრი ქარსელაძემ. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ- ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი სმადის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 16 და 17 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 180. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება

გაეწია 180 მოსწავლისთვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი სმადში და სოფელ ჩორჩანაში, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი სმადში.
ექსპერტმა, დიმიტრი ქარსელაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში იგრძნობოდა გუნდური თანამშრომლობა, მოტივაცია და საქმისადმი სიყვარული. სკოლას შექმნილი ჰქონდა საგნობრივი კათედრები და ხელმძღვანელები თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ რაიმე რეკომენდაცია გათვალისწინებული ჰქონდა თუ არა დაწესებულებას.
სკოლის დირექტორის, მარი ტყემალაძის თქმით, მოპოვებული ჰქონდათ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ დასკვნა, რომლის თანახმადაც სკოლის შენობები იყო უსაფრთხო, თუმცა საჭიროებდა რეაბილიტაციას.
აქვე, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის თქმით, აღმოფხვრილი იყო ინტერნეტის პრობლემა. მისი თქმით სკოლას ჰქონდა 4 მოქმედი კომპიუტერი, მეტის შეძენასთან დაკავშირებით კი მიმართული ჰქონდა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოებისთვის.
საბჭოს წევრი ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას რესურს ოთახი.
სკოლის დირექტორის, მარი ტყემალაძის განმარტებით, დაწესებულებას არ ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა, იმ შემთხვევაში თუ ეყოლებოდა, ჰქონდა მინიმალური რესურსები, რითაც შეძლებდნენ რესურს ოთახის მოწყობას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი სმადის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:09
დასრულების დრო - 16:13

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი სმადის საჯარო სკოლას (ს/კ: 222728038) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდი სმადი; ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩორჩანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდი სმადი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდი სმადი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის დეკემბერში ორივე შენობის შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ დასკვნების, 2026 წლის სექტემბერში ძირითად შენობაში კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორიის სრულად აღჭურვის, ორივე შენობაში ინკლუზიური გარემოს მოწყობის, უფლებამოსილ ორგანოსთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმების შეთანხმების, ხოლო 2027 წლის სექტემბერში ორივე შენობაზე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

7. სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან

მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა ტატიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 09 და 10 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 130. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 130 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ირმა ტატიშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ პროექტის „ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი საქართველო“ ფარგლებში გამართულ კონკურსში მოსწავლეების მიერ შექმნილი მაკეტი გახდა გამარჯვებული. მისი თქმით, დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობას და ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და მოვლილი გარემო.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ, რა რეკომენდაციები შეასრულა სკოლამ.

სკოლის დირექტორის, მაკა ვაწაძის თქმით, შესაბამისობის გეგმით გაწერილი 20 სექტემბრამდე შესასრულებელი ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული ჰქონდათ და გადმოაგზავნიდნენ ცენტრში მტკიცებულების სახით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და იყო თუ არა ადაპტირებული შენობა.

სკოლის დირექტორის თქმით, დაწესებულებაში სწავლობდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. მისი თქმით, სკოლას არ ჰქონდა პანდუსი და სველი წერტილები არ იყო ადაპტირებული, თუმცა აპირებდნენ აღნიშნულის უზრუნველყოფასაც.

საბჭოს წევრი, დავით მალაზონია დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო მეორე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების გათვალისწინებასთან მიმართებით.

სკოლის დირექტორის თქმით, საგნობრივ კათედრებს დაწყებული ჰქონდათ მუშაობა და ეტაპობრივად ითვალისწინებდნენ ყველა რჩევასა და რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 130- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:29
დასრულების დრო - 16:32

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოს საჯარო სკოლას (ს/კ: 222941896) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 130 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭრებალო
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭრებალო
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭრებალო

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;

მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 16:35 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე